

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის დასკვნა 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შედეგად გამოკვეთილი შენიშვნების თაობაზე

2013 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტის მიღებით, მუნიციპალიტეტის მიერ აღებული კურსის შესაბამისად მოხდება რაიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, რაც შეეხება ფინანსურ დასაბუთებას: 2012 წლის აგვისტოს თვეში ქ.ბათუმში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის სპეციალისტებთან ერთად 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შედეგად შეთანხმებულ იქნა ტრანსფერის ოდენობა, რომელიც განისაზღვრა 5 250 000 ლარი, მათ შორის 5 000 000 ლარი გათანაბრებითი ტრანსფერი და 250 000 ლარი მიზნობრივი ტრანსფერი. ამის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ შეტანილ იქნა 2013 წლის პროექტი ტრანსფერის ამ ოდენობით, მაგრამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს N04-03/67035 05/10/2012 წერილის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო ტრანსფერი, სულ 4 584 500 ლარი, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 4 364 500 ლარი და მიზნობრივი ტრანსფერი 220 000 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით გადამუშავებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის წარდგენილი პროექტი და შესწორებული სახით წარდგენილ იქნა საკრებულოში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის 2012 წლის N14 სხდომის დასკვნის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შედეგად გამოკვეთილი შენიშვნების შესაბამისად წარმოგიდგინებ:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან შეთანხმებას წარმოგიდგინებ დანართების სახით. დანართი 48 (ორმოცდარვა) ფურცელი.
2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების პროგრამულ და რაოდენობრივ შედეგებს. დანართი 4 (ოთხი) ფურცელი.

ა) სოც-კულტურული ღონისძიებების პროგრამა

2013 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა პროგრამების პროექტით გათვალისწინებულია 42 000 ლარი. 2012 წლის სოც-კულტურული პროგრამების ეფექტურობიდან გამომდინარე დაგეგმილი გვაქვს ეს თანხა გადანაწილდეს შემდეგნაირად:

1) საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა 4900 ლარი
აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე ლანჩხუთელი მოსწავლე-ახალგაზრდობის წარმატებების წახალისებას სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით, ამ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წლის ანალიზიდან გამომდინარე შევძლებთ დავაჯილდოვოთ სხვადასხვა სფეროში წარმატებული 150 მოსწავლე თუ ახალგაზრდა.

2) ახალგაზრდული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა 4900 ლარი,
პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობისათვის მოტივაციის გაზრდა, ეს პროგრამა საშუალებას მოგვცემს ყველა ტერიტორიული ერთეულისათვის შეძენილი იქნას საზაფხულო ტურნირებისათვის აუცილებელი ინვენტარი(ბურთი, ბადე), რაც უზრუნველყოფს სპორტში მოსწავლე-ახალგაზრდობის მასობრივ ჩაბმას.

3) სპორტსმენთა მხარდაჭერის პროგრამა 2000 ლარი

პროგრამის ამოცანაა წარმატებულ სპორტსმენთა სპორტული ეკიპირებით აღჭურვა, რომელიც ასევე ეფექტურად გამოვიყენეთ მიმდინარე წელს და ვფიქრობთ ასევე ეფექტურად დავეხმარებით სპორტულ გუნდსა თუ ცალკეულ სპორტსმენს.

4) სხვადასხვა ღონისძიებებზე მოსწავლეთა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა 7000 ლარი,

პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე ლანჩხუთელი მოსწავლე-ახალგაზრდობის ტრანსპორტირებით ხელშეწყობა, მიმდინარე წლის შედეგის მიხედვით ამ პროგრამის ფარგლებში შევძლებთ დახმარება გავუწიოთ დაახლოებით 800 –მდე მოსწავლესა და ახალგაზრდას.

5) ფილმების ჩვენებასთან დაკავშირებული მომსახურება 2200 ლარი

პროგრამის მიზანია ლანჩხუთელი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ზაფხულის პერიოდში ლანჩხუთისა და აცანის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწყობილი მონიტორების საშუალებით სხვადასხვა გასართობი პროგრამებისა თუ ფილმების ჩვენება, რომელიც გათვლილია აცანისა და ქალაქის ათეულობით არა მარტო მოსწავლე-ახალგაზრდობის, არამედ ყველა ასაკის ადამიანისათვის.

6) სოც-კულტურული(გაუთვალისწინებელი და შემხვედრი) ღონისძიებების პროგრამა 21000 ლარი

პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ სადღესასწაულო დღეების ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა რაც აგრეთვე გათვლილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრების დიდ აუდიტორიაზე.

ბ) დასუფთავების პროგრამა

დასუფთავების პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განხორციელდება შემდეგი სამუშაოები

1. ქუჩების და მოედნების დაგვა-დასუფთავება

დაგვა-დასუფთავება განხორციელდება ხელით, ასფალტირებული ქუჩების, მოედნებისა და მწვანე საფარის შემთხვევაში-ცოცხის საშუალებით, ხოლო არასასფალტირებული და გადათხრილი ქუჩების შემთხვევაში როგორც ცოცხით, ასევე ხელით. ქალაქ ლანჩხუთში პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქუჩების დასუფთავება: ქალაქ ლანჩხუთში ლაშისღელის ხიდიდან შპს „კილამდე 44200 კვ.მ., ქალაქის ცენტრიდან ყოფილი კინოს შენობამდე 2100 კვ.მ., ქალაქის ცენტრალური სკვერიდან თბილისის ქუჩაზე მდებარე საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობამდე 2700 კვ.მ., ქალაქის ცენტრიდან მუსიკალური სკოლის შენობამდე 3500 კვ.მ., კვირკველიას ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი სახლის მიმდებარე ტერიტორია 4600 კვ.მ., მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე სკვერი 5288 კვ.მ., ქალაქის ცენტრალური სკვერი 11388 კვ.მ., მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის უკან მდებარე სკვერი 6400 კვ.მ.,

2. კვლების ამოწმენდა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ამვტომავისტრალის გასწვრივ ტერიტორიის დასუფთავება და ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაღუპული ცხოველის ტერიტორიიდან გატანა

პროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება კვლების ამოწმება და ხელით და ამოღებული გრუნტის გატანა, თვის განმავლობაში საშუალოდ შესაძლებელი იქნება 2500 გრ.მ. კვალის ამოწმება. თვეში ერთხელ განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ავტომაგისტრალის გასწვრივ ტერიტორიის დასუფთავება, მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდება ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაღუპული ცხოველის ტერიტორიიდან გატანა.

3. ნარჩენების გატანა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ლანჩხუთში განთავსებული 220 ცალი ნაგვის ბუნკერიდან ნაგვის ყოველდღიური გატანა ნაგავსაყრელზე, ასევე ზაფხულის დრეებში ყოველდღიურად იქნება ნაგავი გატანილი სოფელ გრიგოლეთსა დასუფსაში განლაგებული 30 ცალი ბუნკერიდან, დანარჩენ თვეებში კი აღნიშნული სოფლებიდან ნაგავი გატანილი იქნება კვირაში ორჯერ. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება აგრეთვე ნაგავსაყრელის პერიოდული მოწესრიგება.

პროგრამის შედეგი: მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება, ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან.

გ) გარე განათების მოვლა პატრონობის პროგრამა

გარე განათების მოვლა-პატრონობის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

1. გარე განათების სანათების მომსახურება, დაზიანებულის შეცვლა;
2. სადენების შეერთების შემოწმება;
3. საყრდენების გამანაწილებელ ყუთებში კაბელების შეერთებების დათვალიერება და გაწმენდა;
4. კაბელების იზოლაციის წინააღმდეგობის შემოწმება;
5. დაზიანებული კაბელების აღდგენა და შეცვლა;
6. საკაბელო და საჰაერო ხაზების დათვალიერება;
7. ძაბვისა და ტვირთების შემოწმება;
8. საყრდენებისა და კრონშტეინების შეღებვა;
9. გადამწვარი ნათურების შეცვლა;
10. განათების კარადების პროფილაქტიკა, დაზიანებული ნაწილების შეცვლა;
11. დღისა და ღამის საათებში ქსელის შემოწმება (სისტემატიური შემოვლები);
12. მრიცხველის ჩვენების შედარება "ენერგო პრო"-ს მონაცემებთან;
13. დაზიანებული მრიცხველების შეცვლა.

პროგრამის შედეგი: დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელი პირობის შექმნა.

დ) სოციალური პროგრამები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით

გადადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ 2013 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას სულ ათი პროგრამა, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში განახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური, სამსახურის შეხედულებით აღნიშნული პროგრამები სასიცოცხლო მნიშვნელობის არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.


1. პროგრამა „მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა“ მოიცავს ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დღეში ერთჯერადად კვებას 60 ადამიანზე .2013 წელს თანხა განისაზღვროს 65 000 ლარით.
2. „მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა“ ითვალისწინებს მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირებას სკოლებში, რადგანაც აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. კერძოდ: 1) სუფსის საჯარი სკოლა, 2) ქ. ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლა, 3) ქ. ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლა, 4) ჩოჩხათის საჯარო სკოლა, 5) ლესის საჯარო სკოლა 6) აკეთის საჯარო სკოლა 7) ა. (ა) ი. პ. ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცელის სახელობის სასულიერო გიმნაზია 8) ქვიანის საჯარო სკოლა. პროგრამით გათვალისწინებულია 29 000 ლარი.
3. „ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა“ ითვალისწინებს ჰემოდიალეზით დაავადებულთათვის დიალიზის ჩასატარებლად სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფას. აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ლანჩხუთში რეგისტრირებული 15 (თხუთმეტი) ბენეფიციარი. 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 28 000 ლარი
4. „ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილი მეომრების ოჯახების დახმარების პროგრამა“ ითვალისწინებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპილი მეომრების ოჯახებისთვის (35) ოჯახი ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობის დახმარება. 2013 წლის ბიუჯეტით პროგრამაში გათვალისწინებულია 20 400 ლარი.
5. „ცენტრ იავნანას თანადაფინანსების პროგრამა“ ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ცენტრისთვის კომუნალური ხარჯებისა და საკანცელარიო ნივთების შესაძენი თანხით დახმარებას. ცენტრში ირიცხება 30 (ოცდაათი) მზრუნველობამოკლებული ბავშვი. 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ცენტრისთვის 10 000 ლარი.
6. „იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დევნილთა ოჯახებისთვის ერთჯერადად საშემე მერქნის შესაძენ თანხას 200 ლარის ოდენობით. რეგისტრირებულია 54 ოჯახი. 2013 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად 11 000 ლარი.
7. „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადად დახმარებისა და დროებითი თავშესაფრით იზრუნველყოფის პროგრამა“ ითვალისწინებს თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების ბინის ქირით უიზრუნველყოფას, სოციალურად

შეჭირვებული მოსახლეობის ფინანსურ დახმარებას. დღეის მდგომარეობით 15ოჯახი სარგებლობს ქირავნობის პროგრამით, სტიქიური მოვლემების დროს დაზარალებილი ოჯახების დახმარების მიზნით შემოსულია 69 განცხადების დასკვნა. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 30 000 ლარი.

8. „18-60 წლამდე ასაკის მქონე მოსახლეობის ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული 18-60 წლამდე მოსახლეობის ოპერაციების თანადაფინანსებას, 50 % ფარგლებში არა უმეტეს 1000 ლარისა. მიმდინარე წლის დავალიანების დასაფარად 2013 წლის ბიუჯეტით აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია 11 600 ლარი.
9. „ მშობიარობის თანადაფინანსების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის მშობიარობის 50% თანადაფინანსებას. მიმდინარე წლის დავალიანების დასაფარად 2013 წლის ბიუჯეტში აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 5 000 ლარი.
10. „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსურ უზრუნველყოფას თითო ბავშვზე 25 ლარის ოდენობით აღნიშნული პროგრამით დღეის მდგომარეობით სარგებლობს 36 ოჯახი. 2013 წლის ბიუჯეტში აღნიშნული პროგრამისთვის 40 000 ლარია გამოყოფილი.

პროექტი მომზადებულია გამგეობის საფინანსო სამსახურის მიერ, შესაბამისად საკრებულოს სხდომაზე პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ საფინანსო სამსახურის უფროსის – როლანდ ლაშხიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია 2013 წლის ბოლომდე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელი



კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯების გაშიფვრა
2013 წლის ბიუჯეტის პროექტში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	425270
მომუშავეთა რიცხოვნობა	20
ხარჯები	425270
შრომის ანაზღაურება	179340
ხელფასი	179340
ხელფასები ფულადი ფორმით	179340
თანამდებობრივი სარგო	153720
პრემია	25620
საქონელი და მომსახურება	245930
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	30720
მივლინებები	1000
მივლინება ქვეყნის შიგნით	1000
ოფისის ხარჯები	22460
საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო	5800
მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	820
კომპიუტერული ტექნიკა	540
ტელეფონის და ფაქსის აპარატი	80
სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი	200
რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი	720
საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	1000
კავშირგაბმულობის ხარჯი	1440
საფოსტო მომსახურების ხარჯი	500
ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული	4180
წარმომადგენლობითი ხარჯები	5000
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	30750
საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	24000
მიმდინარე რემონტის ხარჯი	5000
ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	1250
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები	500
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	156000
სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	156000

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯების გაშიფვრა
2013 წლის ბიუჯეტის პროექტში

ლანჩხუთის გამგეობა	1175595
მომუშავეთა რიცხოვნობა	130
ხარჯები	1175595
შრომის ანაზღაურება	805140
ხელფასი	805140
ხელფასები ფულადი ფორმით	805140
თანამდებობრივი სარგო	690120
პრემია	115020
საქონელი და მომსახურება	370455
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	109630
მივლინებები	4000
მივლინება ქვეყნის შიგნით	4000
ოფისის ხარჯები	121525
საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური	16900
კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი	541
ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაპირითადი საქმიანობის) ხარჯები	7420
კომპიუტერული ტექნიკა	1460
ტელეფონის და ფაქსის აპარატი	300
გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა	250
სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი	400
რეცხვის, კიშმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი	1200
საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	2500
კავშირგაბმულობის ხარჯი	54864
საფოსტო მომსახურების ხარჯი	3000
კომუნალური ხარჯი	22800
ელექტროენერჯის ხარჯი	16000
წყლის ხარჯი	3000
ბუნებრივი და თხევადი არის ხარჯი	1800
გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის შეძენის ხარჯი	2000
ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული	9890
წარმომადგენლობითი ხარჯები	5000
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	53000
საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	40000
მიმდინარე რემონტის ხარჯი	6000
ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	6000
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები	1000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	77300
ექსპერტიზის და შემოწმების ხარჯი	5000

აუდიტორული მომსახურების ხარჯი	10000
საარქივო მომსახურების ხარჯი	6900
შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი	50400
სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	5000

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო სამაშველო სამსახურის ხარჯების
გაშიფვრა 2013 წლის ბიუჯეტის პროექტში

სახანძრო სამსახური	251210
მომუშავეთა რიცხოვნობა	46
ხარჯები	251210
შრომის ანაზღაურება	199500
ხელფასი	199500
ხელფასები ფულადი ფორმით	199500
თანამდებობრივი სარგო	171000
პრემია	28500
საკონელი და მომსახურება	45210
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	18000
მივლინებები	500
მივლინება ქვეყნის შიგნით	500
ოფისის ხარჯები	7710
საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა	595
მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	30
კომპიუტერული ტექნიკა	30
რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი	200
საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	200
კავშირგაბმულობის ხარჯი	360
საფოსტო მომსახურების ხარჯი	100
კომუნალური ხარჯი	5150
ელექტროენერჯიის ხარჯი	1700
წყლის ხარჯი	2000
ბუნებრივი და თხევადი არის ხარჯი	1050
გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის შეძენის ხარჯი	400
ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული	1075
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	19000
საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	12500
მიმდინარე რემონტის ხარჯი	2000
ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	4500
სხვა ხარჯები	6500
სხვადასხვა ხარჯები	6500
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	6500
პერსონალის დაზღვევის ხარჯი	6500

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯების გაშიფვრა 2013 წლის ბიუჯეტის პროექტში

სამხედრო სამსახური	129765
მომუშავეთა რიცხოვნობა	14
ხარჯები	129765
შრომის ანაზღაურება	88480
ხელფასი	88480
ხელფასები ფულადი ფორმით	88480
თანამდებობრივი სარგო	75840
პრემია	12640
საქონელი და მომსახურება	41285
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	11960
მივლინებები	1500
მივლინება ქვეყნის შიგნით	1500
ოფისის ხარჯები	6895
საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური	1720
ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაპირითადი	820
მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	220
კომპიუტერული ტექნიკა	100
მობილური ტელეფონი	50
გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა	70
რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენი ხარჯი	35
საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	100
კავშირგაბმულობის ხარჯი	1700
საფოსტო მომსახურების ხარჯი	200
კომუნალური ხარჯი	1800
ელექტროენერჯის ხარჯი	1000
წყლის ხარჯი	300
გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის შეძენის ხარჯი	500
ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული	300
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	20930
საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	7810
მიმდინარე რემონტის ხარჯი	1000
ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	2120
ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი	10000

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ 2013 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას სულ ათი პროგრამა, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში განახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური, სამსახურის შეხედულებით აღნიშნული პროგრამები სასიცოცხლო მნიშვნელობის არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

1. პროგრამა „მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა“ მოიცავს ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დღეში ერთჯერადად კვებას 60 ადამიანზე .2013 წელს თანხა განისაზღვროს 65 000 ლარით.
2. „მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა“ ითვალისწინებს მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირებას სკოლებში, რადგანაც აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. კერძოდ: 1) სუფსის საჯარო სკოლა, 2) ქ.ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლა, 3) ქ.ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლა, 4) ჩოჩხათის საჯარო სკოლა ,5) ლესის საჯარო სკოლა 6) აკეთის საჯარო სკოლა 7) ა.(ა)ი.პ. ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცელის სახელობის სასულიერო გიმნაზია 8) ქვიანის საჯარო სკოლა. პროგრამით გათვალისწინებულია 29 000 ლარი.
3. „ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა“ ითვალისწინებს ჰემოდიალიზით დაავადებულთათვის დიალიზის ჩასატარებლად სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფას. აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ლანჩხუთში რეგისტრირებული 15 (თხუთმეტი) ბენეფიციარი.2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 28 000 ლარი
4. „ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილი მეომრების ოჯახების დახმარების პროგრამა“ ითვალისწინებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპილი მეომრების ოჯახებისთვის (35) ოჯახი ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობის დახმარება. 2013 წლის ბიუჯეტით პროგრამაში გათვალისწინებულია 20 400 ლარი.
5. „ცენტრ იავნანას თანადაფინანსების პროგრამა“ ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ცენტრისთვის კომუნალური ხარჯებისა და საკანცელარიო ნივთების შესაძენი თანხით დახმარებას. ცენტრში ირიცხება 30 (ოცდაათი) მზრუნველობამოკლებული ბავშვი.2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ცენტრისთვის 10 000 ლარი.
6. „იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დევნილთა ოჯახებისთვის ერთჯერადად საშემე მერქნის შესაძენ თანხას 200 ლარის ოდენობით.

რეგისტრირებულია 54 ოჯახი. 2013 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად 11 000 ლარი.

7. „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადად დახმარებისა და დროებითი თავშესაფრით იზრუნველყოფის პროგრამა“ ითვალისწინებს თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების ბინის ქირით უიზრუნველყოფას, სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის ფინანსურ დახმარებას. დღეის მდგომარეობით 15 ოჯახი სარგებლობს ქირავნობის პროგრამით, სტიქიური მოვლენების დროს დაზარალებილი ოჯახების დახმარების მიზნით შემოსულია 69 განცხადების დასკვნა. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 30 000 ლარი.
8. „18-60 წლამდე ასაკის მქონე მოსახლეობის ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული 18-60 წლამდე მოსახლეობის ოპერაციების თანადაფინანსებას, 50 % ფარგლებში არა უმეტეს 1000 ლარისა. მიმდინარე წლის დავალიანების დასაფარად 2013 წლის ბიუჯეტით აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია 11 600 ლარი.
9. „მშობიარობის თანადაფინანსების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის მშობიარობის 50% თანადაფინანსებას. მიმდინარე წლის დავალიანების დასაფარად 2013 წლის ბიუჯეტში აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 5 000 ლარი.
10. „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსურ უზრუნველყოფას თითო ბავშვზე 25 ლარის ოდენობით აღნიშნული პროგრამით დღეის მდგომარეობით სარგებლობს 36 ოჯახი. 2013 წლის ბიუჯეტში აღნიშნული პროგრამისთვის 40 000 ლარია გამოყოფილი.

**2013 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა პროგრამების პროექტით გათვალისწინებულია 42 000 ლარი.
2012 წლის სოც-კულტურული პროგრამების ეფექტურობიდან გამომდინარე დაგეგმილი გვაქვს ეს თანხა გადანაწილდეს შემდეგნაირად:**

1) საჩუქრებისა და პრიზების შექმნის პროგრამა 4900 ლარი

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე ლანჩხუთელი მოსწავლე-ახალგაზრდობის წარმატებების წახალისებას სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით, ამ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წლის ანალიზიდან გამომდინარე შევძლებთ დავაჯილდოვოთ სხვადასხვა სფეროში წარმატებული 150 მოსწავლე თუ ახალგაზრდა.

2) ახალგაზრდული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა 4900 ლარი,

პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობისათვის მოტივაციის გაზრდა, ეს პროგრამა საშუალებას მოგვცემს ყველა ტერიტორიული ერთეულისათვის შექმნილი იქნას საზაფხულო ტურნირებისათვის აუცილებელი ინვენტარი(ბურთი, ბადე) , რაც უზრუნველყოფს სპორტში მოსწავლე-ახალგაზრდობის მასობრივ ჩაბმას.

3) სპორტსმენთა მხარდაჭერის პროგრამა 2000 ლარი

პროგრამის ამოცანაა წარმატებულ სპორტსმენთა სპორტული ეკიპირებით აღჭურვა, რომელიც ასევე ეფექტურად გამოვიყენეთ მიმდინარე წელს და ვფიქრობთ ასევე ეფექტურად დავეხმარებით სპორტულ გუნდსა თუ ცალკეულ სპორტსმენს.

4) სხვადასხვა ღონისძიებებზე მოსწავლეთა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა 7000 ლარი,

პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე ლანჩხუთელი მოსწავლე-ახალგაზრდობის ტრანსპორტირებით ხელშეწყობა, მიმდინარე წლის შედეგის მიხედვით ამ პროგრამის ფარგლებში შევძლებთ დახმარება გავუწიოთ დაახლოებით 800 ანუ მოსწავლესა და ახალგაზრდას.

5) ფილმების ჩვენებასთან დაკავშირებული მომსახურება 2200 ლარი

პროგრამის მიზანია ლანჩხუთელი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ზაფხულის პერიოდში ლანჩხუთისა და აცანის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწყობილი მონიტორების საშუალებით სხვადასხვა გასართობი პროგრამებისა თუ ფილმების ჩვენება, რომელიც გათვლილია აცანისა და ქალაქის ათეულობით რა მარტო მოსწავლე-ახალგაზრდობის, არამედ ყველა ასაკის ადამიანისათვის.

6) სოც-კულტურული(გაუთვალისწინებელი და შემხვედრი) ღონისძიებების პროგრამა 21000 ლარი

პროგრამის ამოცანაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ სადღესასწაულო დღეების ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა რაც აგრეთვე გათვლილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრების დიდ აუდიტორიაზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი შეხედულებები.

პატივისცემით

ირმა მგელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის
ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი